

შპს ბალანჩინი პლაზას (ს/კ406045257)

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

შპს ბალანსინი პლაზა (ს/კ 406045257)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება



	მენიშნუ ბი	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	17	291700.28	183754.85	182713.82
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	123340.61	249407.34	346643.79
წინასწარ გადახდილი გადასახადები	8	5944.52	3436.55	6841.88
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10	10269.18	1271.61	2746.51
		431254.59	437870.35	538946.00
გრძელვადიანი აქტივები				
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში				
ძირითადი საშუალებები	11	6642584.94	6920486.24	7265134.24
არამატერიალური აქტივები	12			
გადავადებული საგადასახადო აქტივი				
		6642584.94	6920486.24	7265134.24
სულ აქტივები		7073839.53	7358356.59	7804080.24
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ბანკის ოვერდრაფტი				
სავაჭრო ვალდებულებები	14	206935.70	105698.21	104973.74
გადასახდელი პროცენტი				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	19		18262.81	24677.29
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის				
დებიტორული დავალიანების ანარიცხი	9	23204.51	67517.89	49717.20
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი				
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე წილი				
		230140.21	191478.91	179368.23
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის ხესხი	13		0	0.00
სხვა ხესხები	13	3770096.23	4735829.49	6308472.48
გადასახდელი პროცენტი	13	7864297.19	7391167.6	7068780.29
ფინანსური იჯარის ვალდებულებები				
		11634393.42	12126997.09	13377252.77
სულ ვალდებულებები		11864533.63	12318476	13556621
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	15	200.00	200.00	200.00
გაუნაწილებელი მოგება		(4790894.10)	(4960319.41)	(5752740.76)
სულ საკუთარი კაპიტალი		(4790694.10)	(4960119.41)	(5752540.76)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7073839.53	7358356.59	7804080.24

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი: ლ. ბეციაშვილი (პ/ნ 01006019192)

ფინანსური მენეჯერი: გ. ივარდავა (პ/ნ 19001039730)

საქართველო, თბილისი
10 სექტემბერი 2025 წელი.


შპს ბალანსინი პლაზა (ს/კ 406045257)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება


	შენიშვნები	31.12.2024	31.12.2023
		ლარი	ლარი
ამონაგები	3	1,930,317.21	2247705.69
სხვა შემოსავალი	4	-	81606.76
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში: მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება			
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(17,948.57)	
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამგებლოები	18	(121,799.30)	(118,277.47)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	11	(352,430.18)	(349,252.92)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება			
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(628,422.06)	(693,994.41)
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი	9	8,557.24	(17,800.65)
ფინანსური დანახარჯები	5	(648,849.92)	(357,564.76)
წლის ზარალი(მოგება დაბეგვრამდე)		169424.42	792422.24
მოგების გადასახადის ხარჯი	7		
წმინდა ზარალი (მიმდინარე წლის მოგება)		169424.42	792422.24
წმინდა ზარალი წლის დასაწყისში		(4,960,318.52)	(5,752,740.76)
დივიდენდები			0
წმინდა ზარალი წლის ბოლოს		(4790894.10)	(4960318.52)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი: ლ. ბეციაშვილი (პ/ნ 01006019192)



ფინანსური მენეჯერი: ც. ივარდავა (პ/ნ 19001039730)




საქართველო, თბილისი
10 სექტემბერი 2025 წელი.


შპს ბალანჩინი პლაზა (ს/კ406045257)			
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		2493033.3	2758165.19
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		825446.57	844884.98
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები		1667586.73	1913280.21
გადახდილი პროცენტები		13995.21	13446.07
გადახდილი მოგების გადასახადი			
გადახდილი სხვა გადასახადები		336308.27	382868.62
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1317283.25	1516965.52
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოყენებით			
ძირითადი საშუალების შეძენა		85480.40	5433.81
ძირითადი საშუალების მშენებლობა/რემონტი			
მანქანა დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები			
მიღებული პროცენტები			
მიღებული დივიდენდები			
ხელმძღვანელის შენატანი		4370	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		81110.40	5433.81
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად			
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან			0
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განადგება			
ნასესხები სახსრების გადახდა (სესხის ძირითადი თანხა)		1128248.52	1510472.10
გადახდილი დივიდენდები			
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		-1128248.52	-1510472.1
სავალუტო კურსის ეფექტი		21.10	(18.58)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		107945.43	1041.03
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	17	183754.85	182713.82
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	17	291700.28	183754.85

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი: ლ. ბეციაშვილი (პ/ნ 01006019192)



ფინანსური მენეჯერი: ც. ივარდავა (პ/ნ 19001039730)



საქართველო, თბილისი
10 სექტემბერი 2025 წელი.

შპს ბალანჩინი პლაზა (ს/კ 406045257)
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა ბი	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	17	291700.28	183754.85	182713.82
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	123340.61	249407.34	346643.79
წინასწარ გადახდილი გადასახადები	8	5944.52	3436.55	6841.88
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10	10269.18	1271.61	2746.51
		431254.59	437870.35	538946.00
გრძელვადიანი აქტივები				
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში				
ძირითადი საშუალებები	11	6642584.94	6920486.24	7265134.24
არამატერიალური აქტივები	12			
გადავადებული საგადასახადო აქტივი				
		6642584.94	6920486.24	7265134.24
სულ აქტივები		7073839.53	7358356.59	7804080.24
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ბანკის ოვერდრაფტი				
სავაჭრო ვალდებულებები	14	206935.70	105698.21	104973.74
გადასახდელი პროცენტი				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	19		18262.81	24677.29
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის				
დებიტორული დავალიანების ანარიცხი	9	23204.51	67517.89	49717.20
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი				
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე წილი				
		230140.21	191478.91	179368.23
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი	13		0	0.00
სხვა სესხები	13	3770096.23	4735829.49	6308472.48
გადასახდელი პროცენტი	13	7864297.19	7391167.6	7068780.29
ფინანსური იჯარის ვალდებულებები				
		11634393.42	12126997.09	13377252.77
სულ ვალდებულებები		11864533.63	12318476	13556621
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	15	200.00	200.00	200.00
გაუნაწილებელი მოგება		(4790894.10)	(4960319.41)	(5752740.76)
სულ საკუთარი კაპიტალი		(4790694.10)	(4960119.41)	(5752540.76)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		7073839.53	7358356.59	7804080.24

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი: ლ. ბეციაშვილი (პ/ნ 01006019192)

ფინანსური მენეჯერი: ც. ივარდავა (პ/ნ 19001039730)

საქართველო, თბილისი
10 სექტემბერი 2025 წელი.

შპს ბალანჩინი პლაზა (ს/კ 406045257)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების
ანგარიშგება

	შენიშვნები	31.12.2024	31.12.2023
		ლარი	ლარი
ამონაგები	3	1,930,317.21	2247705.69
სხვა შემოსავალი	4	-	81606.76
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში: მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება			
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(17,948.57)	
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამჯელოები	18	(121,799.30)	(118,277.47)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	11	(352,430.18)	(349,252.92)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება			
სხვა საოპერაციო ხარჯები	6	(628,422.06)	(693,994.41)
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი	9	8,557.24	(17,800.65)
ფინანსური დანახარჯები	5	(648,849.92)	(357,564.76)
წლის ზარალი(მოგება დაბეგვრამდე)		169424.42	792422.24
მოგების გადასახადის ხარჯი	7		
წმინდა ზარალი (მიმდინარე წლის მოგება)		169424.42	792422.24
წმინდა ზარალი წლის დასაწყისში		(4,960,318.52)	(5,752,740.76)
დივიდენდები			0
წმინდა ზარალი წლის ბოლოს		(4790894.10)	(4960318.52)

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი: ლ. ბეციაშვილი (პ/ნ 01006019192)

ფინანსური მენეჯერი: ც. ივარდავა (პ/ნ 19001039730)

საქართველო, თბილისი
10 სექტემბერი 2025 წელი.

შპს ბალანჩინი პლაზა (ს/კ406045257)			
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		2493033.3	2758165.19
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		825446.57	844884.98
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები		1667586.73	1913280.21
გადახდილი პროცენტები		13995.21	13446.07
გადახდილი მოგების გადასახადი			
გადახდილი სხვა გადასახადები		336308.27	382868.62
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1317283.25	1516965.52
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით			
ძირითადი საშუალების შეძენა		85480.40	5433.81
ძირითადი საშუალების მშენებლობა/რემონტი			
მანქანა დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები			
მიღებული პროცენტები			
მიღებული დივიდენდები			
ხელმძღვანელის შენატანი		4370	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		81110.40	5433.81
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად			
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან			0
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განადგება			
ნასესხები სახსრების გადახდა (სესხის ძირითადი თანხა)		1128248.52	1510472.10
გადახდილი დივიდენდები			
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		-1128248.52	-1510472.1
სავალუტო კურსის ეფექტი		21.10	(18.58)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		107945.43	1041.03
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	17	183754.85	182713.82
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	17	291700.28	183754.85

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი: ლ. ბეციაშვილი (პ/ნ 01006019192)

ფინანსური მენეჯერი: ც. ივარდავა (პ/ნ 19001039730)

საქართველო, თბილისი
10 სექტემბერი 2025 წელი.

1. ზოგადი ინფორმაცია

ბალანსინი პლაზა (ყოფილი ლილო რენტალი) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2011 წლის 17 მარტს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი, იურიდიული იუმაშვილის ქ. 27, ფაქტობრივი აბელაშვილის ქ. 142. მისი ძირითადი საქმიანობაა საკუთარი უძრავი ქონების გაქირავება და მართვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფურველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ამონაგების აღიარება

კომპანია საიჯარო ურთიერთობაში გამოდის მეიჯარედ. საინვესტიციო ქონების საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ამონაგების ნაწილში.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადაწყვეტილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

სხვახარჯები

კომპანია აღიარებს მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა / (ზარალი). არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა დამიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-15 შენიშვნა). მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები საქართველოში წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თურა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მათი აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები:

4 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

10-30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური

ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის არდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაითვლება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნის შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავამდყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვა) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2. დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება.

3. ამონაგები

	2024	2023
	ლარი	ლარი
საიჯარო შემოსავალი	1930317.21	2247705.69
სხვა შემოსავალი	0.00	81606.76
შემოსავალი სულ	1930317,21	2329312.45

4. სხვა შემოსავალი

2023 წელს მიღებული სხვა შემოსავალი 81606.76 ლარი მოიცავს ფულადი მუხლების კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობას, ხოლო 2024 წელს კომპანიას სხვა შემოსავალი არ უფიქსირდება.

5. ფინანსური დანახარჯები

	2024	2023
	ლარი	ლარი
ბანკის სესხის პროცენტი	(0.00)	(0.00)
სხვა სესხის პროცენტი	(276929.23)	(357564.76)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალი	(371920.69)	(0,00)
	(648 849.92)	(357564.76)

6. სხვა ხარჯები

	2024	2023
	ლარი	ლარი
ქონების გადასახადი (ჩართულია სხვა-ხარჯებში)	62993.69	66106.45
კომუნალური გადასახადები (ჩართულია სხვა-ხარჯებში)	345248.44	410704.88
დაცვა/დასუფთავების მომსახურების ხარჯი (ჩართულია სხვა-ხარჯებში)	128657.66	113633.95
სხვა საოპერაციო ხარჯი (ჩართულია სხვა-ხარჯებში)	82585.35	94306.19
ქონების დაზღვევის ხარჯი (ჩართულია სხვა-ხარჯებში)	8936.92	9242.45
	628422.06	693994.41

7. მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიას 2023 და 2024 წლებში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად არ ქონდა მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციები, შესაბამისად არ ქონია მოგების გადასახადის ხარჯი.

8. წინასწარ გადახდილი გადასახადები

	2024	2023
	ლარი	ლარი
წინასწარ გადახდილი ქონების გადასახადი	2002.86	3436.55

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
	ლარი	ლარი
დებიტორული დავალიანება საიჯარო მომსახურებიდან	75403.18	233451.89
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	47937.43	15955.45
გამოკლებული გაუფასურების ანარიცხი	(23204.51)	(67517.89)
	<u>100136.10</u>	<u>181889.45</u>

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუფასურების ანარიცხმა შეადგინა 23204.51 ლარი, რომლითაც შემცირებულია წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები და უახლოვდებოდა მათ სამართლიან ღირებულებებს. გადახდის ვადები 5-დან 90 კალენდარულ დღემდე მერყეობს.

10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2024	2023
	ლარი	ლარი
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10269.18	1271.61
	<u>10269.18</u>	<u>1271.61</u>

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთი წარმოადგენს მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისთვის განკუთვნილ სხვადასხვა სარემონტო მასალებს.

11. ძირითადი საშუალებები

	თარიღი	მიწის ნაკვეთი	შენობა- ნაგებობები	გათბობა- გაგრილები ს სისტემა	მანქანა- დანადგარები (ლიფტი, გ ენერატორ ი, ელ. ტრა ნსფორმატორი)	სხვა	სულ
		ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება	01.01.2024	638166.77	7651965.03	689497.73	217812.95	76071.9	9273514.38
შემოსვლა				0	72441.02	2087.86	74528.88
გასვლა					0		0
ნაშთი	31.12.2024.	638166.77	7651965.03	689497.73	290253.97	78159.76	9348043.26
							0
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	01.01.2024	0	1755598.26	412686.67	140789.84	43953.36	2353028.13
წლიური ცვეთა		0	257970.24	61949.77	23664.20	8845.97	352430.18
გაუფასურება							0
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა							
		0					0
ნაშთი ცვეთა და გაუფასურება	31.12.2024.	0	2013568.50	474636.44	164454.04	52799.33	2705458.31
							0
საბალანსო ღირებულება	31.12.2024.	638166.77	5638396.53	214861.29	125799.93	25360.43	6642584.95

12. არამატერიალური აქტივები

კომპანია არ ფლობს არამატერიალურ აქტივებს

13. სესხები

	2024 ლარი	2023 ლარი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	0.00	0.00
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარისგან	2360661,61	2901255,28
არაუზრუნველყოფილი სესხები არარეზიდენტებისგან	1409434,62	1834574,21
სესხის პროცენტი	7864297,19	7391167,60
	11634393,42	12126997,09

სესხების ვადიანობა 7-დან 10 წლამდეა, სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 6,5%-დან 7,8%-მდე.

სესხის პროცენტის ნაშთი მოიცავს არაუზრუნველყოფილი სესხების პროცენტს.

სესხების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათი სამართლიან ღირებულებას.

14. სავაჭრო ვალდებულებები

	2024	2023
	ლარი	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	206935.70	105698.21

სავაჭრო ვალდებულებების ძირითადი ნაწილს წარმოადგენს სამშენებლო-სარემონტო მომსახურებიდან წარმოშობილ ვალდებულებას, მათი რეალური ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საბალანსო ღირებულებისგან.

15. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას, რომელიც ასახულია სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში და წარმოადგენს 200 ლარს. კომპანიის წესდების მიხედვით კაპიტალის მესაკუთრეები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდი, ამასთან მათ ხმის უფლება აქვთ კომპანიის პარტნიორთა კრებაზე მათ საკუთრებაში არსებული კომპანიის წილის შესაბამისად. კომპანიის განაწილებადი რეზერვი შეზრუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთის ოდენობით, რომელიც ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2023-2024 წელს დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალის შემცირება ან გაზრდა არ მომხდარა.

17. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024	2023
	ლარი	ლარი
ფულადი სახსრები სალაროში	0,62	3183,55
ფული საბანკო ანგარიშებზე	291699.66	180571.30
	291700,28	183754,85

18. თანამშრომელთა ხელფასები და სხვაგასამჯელოები

	2024	2023
	ლარი	ლარი
ხელფასები	121799.30	118277.47

კომპანიის სახელფასო დანახარჯებს წარმოადგენს ხელმძღვანელობაზე და ადმინისტრაციის თანამშრომლებზე გაცემულ ანაზღაურებას.

19. საგადასახადო ვალდებულება

	2024	2023
	ლარი	ლარი
საშემოსავლო გადასახადი	0,00	945,57
დღგ	0,00	17317,24
	0,00	18262,81

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე.

21. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარესთან გარდა მიღებული სესხებისა სხვა ოპერაციები არ განხორციელებულა. დაკავშირებული მხარესგან მიღებული სესხები და დარიცხული პროცენტები ასახულია გრძელვადიან ვალდებულებებში.

22. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.